№ 139

სამშაბათი, 4 ივლისი 1895

1877—1895

# ივერია

№ 139

სამშაბათი, 4 ივლისი 1895

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 70 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 55 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

კაბინეტი კბილის ექიმთა
ვ. ი. ჭიჭინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—5და საღამოს 4—7 საათამდე.

## ახალი ამბავი

—

⁂ ჩვენის ღრმად პატივცემულის პოეტის თავადის რაფიელ დ. ერისთავის ორმოც-და-ათის წლის მოღვაწეობის იუბილე ოქტომბერში იქმნება გარდახდილი. ამ ჟამად კომისიაა შემდგარი გ. ე. წერეთლის თავმჯდომარეობით, რომელსაც დავალებული აქვს შეიმუშავოს პროგრამა იუბილეს დღესასწაულობისა. კომისია შესდგა დ. კარიჭაშვილი სა, ი. ჯაბადარისა, კ. მესხისა და პ. ი. ყიფიანისაგან.

⁂ სასამართლოს მე-4 განყოფილების მოსამართლე ნ. დ. ზუბალოვი, რომელიც ამ მოკლე ხანში ტფილისის სამეურნეო კრედიტის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ იქმნა ამორჩეული, 4 თვით საზღვარ-გარეთ წავიდა. დროებით მის თანამდებობის აღმასრულებლად ამავე სასამართლოს გამომძიებელი ი. ა. სულხანოვი იქმნა დანიშნული.

⁂ ბათუმში გიმნაზიის ასაშენებლად ადგილობრივის საბჭოს გარდაწყვეტილებით გადაუდვიათ 77 ათასი მანეთი. აგრეთვე ქალაქი გიმნაზიის სასარგებლოდ ყოველს წელს გადაიხდის ხუთი-ათასს მანეთს:

⁂ სურამიდგან 3—4 ვერსის მანძილზედ ი. მურვანიშვილის მამულში სხვა-და-სხვა ფერის მიწა აღმოჩნდა, მაგრამ რა თვისებისაა, ან რისთვის არის გამოსადეგი, ჯერ არავის გამოუკვლევია.

⁂ ამ დღეებში მიენდოთ ბ-ნს ვალ. გუნიას, ანდრია ღულაძეს და გარსევან გ. რატიანს ძეგლის დადგმა განსვენებულის იოსებ დავითაშვილის საფლავზე, ქ. თელავში, იმ ფულით, რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების გამგეობას აქვს შეგროვილ-შემოწირული სხვა-და-სხვა პირებისაგან ამ საგნისთვის. დღეს შეგროვილია მხოლოდ 266 მ.—92 კ., რომელიც რასაკვირველია, საკმაო არ არის რიგიან საშუალო ძეგლისათვის. ამიტომ განსვენებულის პოეტის სიძე, ბ-ნი გარსევან გ. რატიანი სთხოვს ყველა იმ პირთ დააშურონ და გამოგზავნონ ივერიის რედაქციაში ფული, ვისაც კი აქვს ი. დავითაშვილის სახელობაზედ შეგროვილი, და ან თუ ვისმეს სურს შემოწირვა.

⁂ სუხუმიდგან გვატყობინებენ დეპეშით, რომ ბრალდებულნი ვოლკოვის საქმის შესახებ გაუმართლებიათ. როგორც გვახსოვს, ვოლკოვი ამ რამდენიმე წლის წინად იქმნა გაძარცვული.

⁂ შაბათს, პირველს ივლისს, კუკიის ხიდს ზემოთ მტკვარმა მოიტაცა ცხენის ურემი ცხენითურთ. ცხენი დაირჩო.

⁂ დ. სურამი: ეს ერთი წელიწადი არც-კია, რაც საჯარო წიგნთსაცავის დაარსება განვიზრახეთ და აი გამოჩნდა კიდეც რამდენიმე გულშემატკივარი ადამიანი, მოჰკიდეს ამ საქმეს ხელი და ახლა ჩვენდა სასიხარულოდ და საბედნიეროდ, თუმცა პატარა თანხით, მაგრამ წიგნთ-საცავი სამკითხველო გავხსენით.

დიდს სიკეთეს იზამდნენ ჩვენი ქართული ჟურნალ-გაზეთების გამომცემელნი, რომ ჯერ ნორჩსა და ნივთიერად სუსტს ჩვენს წიგნთ-საცავს დახმარებას აღმოუჩენდნენ და თავიანთ გამოცემებს გამოგვიგზავნიდნენ.

⁂ ქ. ოზურგეთი: ძლიერ შეწუხებულნი ვართ აქაურ უსაქმო ვაჟბატონებისაგან, რომლებიც ყოველდღე ითვრებიან და მრავალ-გვარს უწესოებას ახდენენ ბაზარში. საჭიროა, ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს ამ ვაჟბატონებს.

⁂ ტყიბული: 30 ივნისს, დილით, ნოვოსელსკის ქვა-ნახშირის მადანში არეულობა მოხდა. ქვა-ნახშირის მწარმოებელმა დროზედ არ მისცა ხვედრი ფული მუშებს; ამიტომ მუშები მიუხდნენ მწარმოებელს, წაართვეს სამუშაო იარაღი და დასჭრეს ხელში მანტიორი, ტომით გერმანელი. მეორედ ხდება ასეთი არეულობა წელს ნოვოსელსკის კანტორაში. ეს ამბავი პეტერბურგში აცნობეს უფროსს ინჟენერ კაცოვსკის დეპეშით და სთხოვეს, თუ ფული არ მოგვაშველეთ დროზედ, ცუდი შედეგი მოგველისო. საკვირველია ღმერთმანი, ეს მადანი რამდენიმე წელიწადია სწარმოებს და ჯერაც ვერ დამდგარა ჯეროვანს ნიადაგზედ.

⁂ იქიდგანვე: აქ ამ ჟამად ძვირობაა. ფუთი ფქვილი სიმინდისა 90 კ.—1 მ. ფასობს, ხორცი გირ. 9—10 კაპ. ისიც დაბალის ხარისხისა. ხილი თითქმის არ იშოვება ხეირიანი ბაზარში, რადგანაც სოფლებიდგან პირდაპირ სხვა-და-სხვა ქალაქებში ეზიდებიან.

⁂ სოფ. გაჭაეთი, (რაჭის მაზრა): აქ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა: აზნ. წულ... ორი ვაჟი და ერთი ქალი ერთად დაეხოცა რაღაც უხამიანის სოკოს ჭამის გამო. რასაკვირველია, ასეთის უბედურების აცილება შესაძლებელი იყო, თუ ექიმი ახლო გვეყოლებოდა, მაგრამ მთელს რაჭის მაზრაში ერთი ექიმია და ისიც დაბა ონში სცხოვრებს.

—◆◆—

## კორესპონდენცია.

—

ს. მაშნარი, (სიღ. მაზრა). რომ ქიზიყელებიც ამ უკანასკნელს დროს ცოტა არ იყოს გამოფხიზლდნენ და თვალ-დახუჭულები აღარ უვარდებიან ხელში სოფლის ბობოლებს, ეს იქიდგანაც ცხადად სჩანს, რომ დღეს მათ შეიგნეს რამდენად საჭიროა სოფლისთვის შეგნებული მოხელე და არა უვიცი კაცი. შეიგნეს - მეთქი, ამას იმ მოსაზრებით ვამბობ, რომ ხალხი თან-და-თან უფრო რწმუნდება მოხელის ავ-კარგიანობის შესახებ და სცდილობენ მართებული მოხელის ამორჩევას.

ჩვენდა საბედნიეროდ ამ გარემოებას ისიც უწყობს ხელს, რომ დღეს როგორც მაზრის უფროსი აგრეთვე ბოქაულნიც იმის ცდაში არიან, რომ სოფელს მისცენ ისეთი მოხელე, რომელსაც შეეძლოს მოვლა, ხალხის ყურისგდება, მათის ავისა და კარგის შეგნება და არა ისეთნი, რომელნიც მარტო თავიანთს, ე. ი. პირადს ინტერესებს ემსახურებიან და თითონ სოფლის ინტერესებს-კი ჩირათაც არ აგდებენ.

აი სწორედ ამ ხენის აღმოფხვრა უნდათ, ვიმეორებ, დღეს ჩვენის მაზრის ადმინისტრაციას თავის ბოქაუ-

## ფელეტონი

—

### ნ ა დ უ რ ი.

პირველი დამწყები.

აბა, მუშებო, დაიწყეთ
და გული მორთეთ ძგერითა,
გულის და სულის ნაღველი
გავანიავოთ მღერითა;
მიწას—ჩვენს დედას—გულ-მკერდი
გავუჭრათ გუთნის წვერითა,
ოფლით მოვნამოთ, გავმარგლოთ
მარჯვენა ბედნიერითა...

მუშები.

ოფლით მოვნამოთ, გავმარგლოთ
მარჯვენა ბედნიერითა.

მეორე დამწყები.

ძლივს გავისტუმრეთ ზამთარი
ქარიან-ყინულიანი,
ლხენით დავუხვდით გაზაფხულს,
მოსჩანდა ყვავილიანი:
მოგვესმა ფრინველთ ჭიკჭიკი,
გალობა ამო-ხმიანი,
წამონავარდდა იმედი,
ვით ანგელოსი ფრთიანი...

მუშები.

წამონავარდდა იმედი,
ვით ანგელოსი ფრთიანი.

პირველი დამწყები.

ბევრჯელ გვინახავს მაგგვარი
მხიბლავი გაზაფხულია,
მოურთავს ვარდით მთა-ბარი,
მაგრამ დაუწვამს გულია..
მგონი, მუშებო, ესეც-კი
წაჰგავს წარსულსა გაზაფხულს:
გულს ძველის სენით მოგვიკლავს
და დაგვიწყლულებს სულს და გულს..

მუშები.

გულს ძველის სენით მოგვიკლავს
და დაგვიწყლულებს სულს და გულს.

მეორე დამწყები.

ვით რომ ზამთარი წყეული—
ქრისტეშ დასწყევლოს ეგეცა,
სიმღერა კვნესად უქციოს,
თავზედაც მეხი დაეცა:
ნაცვლად იმისა, რომ სითბო
გრძნობათ გამთბობი მოეცა,—
ისევ ქარ-ბუქსა აყენებს,
იმედებს ფრთები შეჰკვეცა...

მუშები.

ისევ ქარ-ბუქსა აყენებს,
იმედებს ფრთები შეჰკვეცა.

პირველი დამწყები.

ვხედავ—მართალი მითხარი
ძმურად და მოწიწებითა:
ნუ აგვაფრენსო იმედი
აჩქარებულის ფრთებითა,—
მარტის თვე ჭირვეულია,
მოვექცეთ გაფრთხილებითა,
ცეცხლს ნუ გავაქრობთ, ვებრძოლოთ,
ის არ გაგვათბობს ნებითა.

მუშები

ცეცხლს ნუ გავაქრობთ, ვებრძოლოთ,
ის არ გაგვათბობს ნებითა.

მეორე დამწყები.

რაიცა მოხდა—გაფრინდა,
ვერ მისწვდეს რაში მალია!..
ნუ დავეცემით სულითა,
გვალომებს ძალთა ძალია;
გუთანი კვალზედ ვატაროთ,
დაგვატკბობს მოსავალია,
ცოდნა, ცდა, შრომა და ბრძოლა
სხვა ყველა წარმავალია!..

მუშები

ცოდნა, ცდა შრომა და ბრძოლა—
სხვა ყველა წარმავალია!..

გრ. აბაშიძე.

—◆◆—

### „კვალის“ მწერლების პოლემიკური ჩვეულება.

ახირებული პოლემიკური ჩვეულება აქვთ „კვალის“ მწერლებს. ჯერ მათი პაპა-მთავარი თავისს „კვალს“ ცით მოვლენილს უწოდებს, მისსავე „კვალში“ დიად მოხუცად იქმნა აღსარებული, მისსავე გაზეთში ბეჭდავს ისეთს წერილებს, რომელნიც „კვალს სიბრძნის მორევად ანუ ზღვად უწოდებენ. ყველა ამისი დასამტკიცებელი ფაქტები, რასაკვირველია, შემეძლო ამომეწერა „კვალის“ №№-დგან, მაგრამ რა საჭიროა? უთუოდ თვით „კვალის“ მკითხველებმაც კარგაც იციან. თუმცა არ შემიძლია ზოგიერთი მარგალიტები მაინც არ ამოვიღო მის თანამშრომელთა ნაწერებიდგან.

აი, მაგალითად, ბ. ს. ჯიბლაძე, „მესამე დასის“ მწერალთაგანი, აცხადებს რა, რომ ეგნატე ნინოშვილმა „მესამე დასი“ დატოვა ქვეყნადო, ხმა-ჰყოფს: „აი რა მოვლენა დაურჩათ შეუმჩნეველად ჩვენს ვითომ და საზოგადო მოღვაწეებს, ნამდვილ-კი კუდაბზიკა ლილიპუტებს, რომელნიც საზოგადო აზრებას ნიღაბ-ქვეშ სუსტად [illegible] გან სათავილო ქვენა გრძნობებს. [illegible] ყურადღებო საზოგადოებრივი მოვლენა არ გამოჰპარვია მხოლოდ „კვალს“.

ამ „მესამე დასის“ მწერლებს აქვთ ჩვეულებად თავისი მოპირდაპირეები დაამცირონ თავის მომხრეების ამაღლებით. მაგალითად, იგივე ბ. ს. ჯიბლაძე ასე იხსენიებს ბ. ყარიბს „მესამე დასის“ მწერალს და მოწინააღმდეგეს ბ. კაენრემენს:

ბ-ნ კაენრემენის ბოდვაზედ ჩვენ აქ არას ვიტყვით. ბ-ნ ყარიბმა სწორედ მოასხმენი აბი გადაუყლაპა ამ აჭი-ბაჭიას და ვნახოთ, დაუკლებს თუ არა სიცხეს.“

აგრეთვე მათ ისე სწამთ „კვალის“ პროგრამმა, რომ ვინც მას არ ეთანხმება, ყველა მოღალატე ჰგონიათ. „ნა—ლმა უღალატა, მკითხველო, ნაღმა! ჰგოდებს ბ. ს. ჯიბლაძე: სწორედ, რომ სამწუხარო და საკვალავო მოვლენაა. მაგრამ გლოვა-ტირილსა და მწუხარებას ვისთვის, ან როდის უშველია, რომ მივმართოთ ამ გულ-უბრყვილო საშუალებასო“ („კვალი“ № 8).

დაუმატეთ ამას კიდევ ის, რომ პოლემიკის დროს ეს ახირებული მწერლები სწორედ რომ სასაცილო ლექსიკონს ხმარობენ. აი ერთი ნიმუშთაგანი: „ნა-დი იმდენად დაუთვრია თავ-მოყვარეობას, რომ პოლემიკასაც-კი ებღაუჭება:მოდი ერთი ჩემს ძალათ-მაცხოვნე ჰედავოგს «თკინკილა» გაუკეთო, ყარამაზე გადმოვატრიალო და შიგ ლოღიკური წინააღმდეგობის ჯლარში ჩატკეპცეო თავიო. ოჰ, Sancta simplicitas“! ოჰ, Sancta simplicitas! დავუმატებთ ჩვენც. აი კიდევ ერთი ნიმუში: „ბ-ნს ნა—დს ძალიან აბრუნდ-ხაბ, რუნდათ (კურსივი ავტორისაა) უნდა ესმოდეს კაპიტალისტური წეს-წყობილება.

ბუნდოვანება ხომ განუსაზღვრელია მათს წერილებში. მაგალითად, ბ-ნი ს. ჯიბლაძე ჩვენ აი რა აზრს გვაწერს: „ეს ბატონი პროგრესი, მათი (ე. ი. ჩვენი) აზრით, შორს, სადღაც ცის სივრცეში, შეიძლება იუპიტერზე ან ნეპტუნზე დაიბადება, იქვე აიდგამს ფეხს, იქვე გაიზრდება, „უზარ-მაზარ ქარხნათ“ გადიქცევა და შემდეგ... შემდეგ ურიცხვ მოწყალე ზეცა გაიხსნის თავის მოწყალე მკერდს და გადმოუშვებს თავის ზრდა დამთავრებულს შობილს—ბატონ პროგრესს—ჩვენს უძლურ სამშობლოში. ქარხანას მოჰყვება, რა თქმა უნდა, შესაფერი ბუნების „პასსაჟირებიც“—მკვიდრეთით ამდგარნი, კაპიტალისტებად გადასხვაფერებულნი, ღატაკნი თავიანთი ყმებით—პროლეტარიატით“. მაგრამ ნიძლევს დავდებ, თუ ამ აზრს გაიგებს ვინმე!

დასასრულ არ შემიძლია კიდევ ერთი სანიმუშო მაგალითიც არ მოვიყვანო ხსენებულ წერილიდგან: «სწორედ ასეთია, ბ-ნო ნა—დო, ჩვენი აზრი, რამდენიც უნდა აქარბუქოთ, ჩვენ მაინც ჩვენსას არ მოვიშლით...» (№ 13).

ასეთს მარგალიტებს შეხვდებიან-

ლებითურთ და არა ის, რასაც მოგვითხრობს „ანაგელი გლეხი“ (იხ. 96 „ივერია“), რომ ვითომც ახალს ბოქაულს ის ერჩიოს გლეხებისათვის შეგნებულს მოხელეს ნუ იყოლიებთ და ისევ უვიცთა მიანდეთ თქვენი სვე-ბედიო.

მაშნაანელი.

—

**საჩინო.** წასრულმა აპრილმა წვიმებით მოგვაბეზრა თავი, რის გამოც საყანე მიწები დაუმუშავებელი დარჩა, და მაისმა-კი უწვიმობით სული ამოგვხადა. თუმცა-ღა მაისში ორ ჯელ-სამჯერ ცა საწვიმრად მოემზადა, ელვა-ქუხილი გაგვაგონა; მაგრამ საკმაო წვიმა არ მოგვევლინა და ბევრი საყანე მიწები დაუხნავი დარჩა. წრევანდელისთანა არეულ-დარეული მუშაობა არვის ახსოვს! ზოგან სთესავენ, ზოგან სამარგელიცაა სიმინდი, ყანები და ზოგან-კი პირაღეპია (დაუხნავი). არც ვენახებია სანატრელს მდგომარეობაში. ამ რაოდენიმე წლის წინად მთელი საჩინო მაღლარი, მამა-პაპური ვენახებით იყო გაშენებული, დღეს-კი უმეტეს ნაწილად მაღლარი მოშალეს დ დაბლარი ვენახები გააშენეს, რომელიც კარგს მოსავალს იძლეოდა დღემდის და დიდ ნივთიერ სიკეთეს უქადდა საჩინოს; მაგრამ სამწუხაროდ ეს იმედი გააცრუა ფილოქსერამ. ამდენ ხანს საჩინოში ფილოქსერის ხსენებაც არ იყო და ეხლა-კი ყოველი დაბლარი ვენახი ამ სენითაა გაბედნიერებული. გულ-საკლავი სანახავია ვენახის მუშა, რომელიც მის შვილივით წვა დაგვით გამოზრდილს ვაზს, ფილოქსერის წყალობით მომაკვდავს, თვალ-ცრემლიანი დასჩერებია.

ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ საფილოქსერო დასს ეს ჩვენი მიყრუებული კუთხე დაეთვალიერებინა. ნათესს ბამბებს და ცერცვს რაღაც წვრილი შავი ჭიები დაესია და გააფუჭა.

მაისის შუა რიცხვებში ადიდდა მდინარე რიონი. ასეთი ადიდება რიონისა არავის ახსოვს. ბევრი სახნავი მიწები გააფუჭა; რაც ნავები იყო ყველანი მოიტაცა. სანაო წყალი თითქმის აღარსადაა მთელს საჩინოში; ირგვლივ ჩავიკეტეთ რიონის წყლობით. მხოლოდ ერთ ალაგას ს. ამაღლებაშია სანაო წყალი, მაგრამ იმ ნავებით გადასვლა ერთი ნაპირიდგან მეორეზედ ერთობ საფრთხილოა. სანამ მეორე ნაპირზედ გადახვიდოდე, თუ გულ მაგარი არა ხარ „ზაფრის ქარები“ აგიტყდება. ორი პატარა ნავია ერთმანეთზედ მიკრული, (ბაწარი როდია გაბმული), ისიც ძველები, ფსკრიდამ წყალი შემოდის. რომ მეორე ნაპირის დანიშნულ ადგილას როგორმე მიაღწიოს ნავმა, ოთხ მენავეს, ერთის ვერსის მანძილზედ აჰყავთ ზევით ნავი და იქიდამ გადაუშვებენ, მაგრამ ხშირად დანიშნულ ადგილს რამდენიმე ას საჟენს დააცილებს ჩქარი მდინარე. უბედურება კიდევ ისაა, რომ სანამ „სანაოზედ მიხვიდოდე, რამდენიმე რიონის ტოტი უნდა გაიარო და ხშირად ისეთი ღრმაა ზოგიერთი ტოტი, რომ ცხენს ააცურებს. ამას ისიც დავძინოთ, რომ მენავეები ერთის ცხენიანი კაცის გაყვანისათვის ხშირად (წყალდიდობის დროს) მანეთზედ მეტსაც იღებენ, ქვეითზედ აბაზს, ანკი რა ჰქნან! დიდ შრომაში არიან; მაგრამ მაინც არ იქნება ურიგო, რომ ამ ვაჟბატონებს განსაზღვრული ნიხრი დაედგინოთ. ყველგან სხვა კუთხის ნავებზედ ცხენოსანის გასვლა ღირს 1 შაური, ქვეითისა ორი კ., აქ-კი ასეთი ანარხიაა.

მაისის უკანასკნელს რიცხვებში (კარგად არ მახსოვს რომელ რიცხვს) ატყდა საშიშარი ელვა-ქუხილი, რამდენჯერმე გავარდა მეხი. სოფ. ვანში სახლის დერეფანში ათის წლის ბიჭი (გლეხის ლვინერიასი) ძაღლს ეთამაშებოდა, დაეცა საბრალოს მეხი და იქვე მოჰკლა ბიჭიც და ძაღლიც.

დადგა ივნისი თუ არა, დაიწყო გაუსხლეტელი წვიმები და გვაბეზრებს თავს. ყველაზედ უფრო მდინარეების ადიდებამ გაგვიჭირა საქმე. ივნისის 6, და 8 რიცხვებში ისე ადიდდა მდ. რიონი, რომ უწინდელზედ ბევრად მეტი იყო. დათესილი ყანები ხელ-მეორედ წალეკა. ბევრი საყანე მიწები ისე გააფუჭა, რომ საყანეთ არასოდეს აღარ ივარგებს. საზოგადოდ დიდი ზარალი მისცა რიონმა საჩინოს. საეჭვოა, რომ წელს საკმაო საზრდო მოიყვანოს ხალხმა ჩვენში. რიონზედ ნაკლებად არც ეს გაუსხლეტელი წვიმები გვაძლევს ზარალს. გამუდმებულ წვიმების გამო ხალხი ვერ მუშაობს, რადგან საყანე მიწებში წყალ-ტალახი სდგას. სამინდის ყანები, რომელიც რიონს გადაურჩა, „მუხლს“ შესცილდა, ჯერ გაუთოხნელია, ზოგან-კი, როგორც მოგახსენეთ, არც-კი დაუთესნიათ იმავე მიზეზების გამო!—

თეონა.

## ლივანის გათათრება.

(ნაამბობი ს. ნადარაბზევის მცხოვრებ მაჰმადიან მოხუც თათრის აფიცრად ყოფილის თიკანაძის მიერ—იგივე სოფიოშვილი).

ოსმალებმა ლივანა დაიჭირეს, ლივანა არ ემორჩილებოდა, ამისათვის ლივანელებმა ბევრი სისხლი დაღვარეს. ლივანაში ოსმალთა კაცები გამოგზავნეს და მორჩილება ითხოვეს. ლივანელთ უარი შეუთვალეს და ამათ შეკრეს ჩხალის ხეობა, გაამაგრეს ამ ხეობაში მდებარე თამარ მეფის ციხე, გაამაგრეს მაქრიალის გზები და მოემზადნენ ოსმალთა საჩხუბრად; გაიმართა ჩხუბი, ორსავ მხარეს ბევრი ხალხი გაწყდა, ჩვენები სჯობნიდნენ ოსმალთ, ჩვენის მხრიდგან ქალებიც ომობდენ თურმე. ბოლოს საქმე მაინც გაჭირდა, ლივანელნი იძლივნენ, ოსმალთ გაიმარჯვეს და ლივანა აიღეს, მალე ხარჯი დაადვეს ლივანელებს, ხალხი არ დაყაბულდა, ბევრნი საქართველოში გამოიქცნენ, უმეტესი აქ დარჩნენ. ჩვენებიც აქ დარჩენილან, რადგანაც მათვის აღიობა მიუციათ, ქართველ მეფეების დროს ესენი აზნაურები ყოფილან. თამარ მეფის დროს მიუღიათ აზნაურობა და თიკანაძეც მაშინ დარქმევიათ გვარად, რადგანაც თამარ მეფის თიკნების შემნახველთ უფროსი ყოფილა ჩვენი ძველი.

პირველ ხნებში ოსმალნი ოსტატურად მოექცნენ ხალხს, ხარჯს გარდა გათათრება არავის უთხრეს, ამაზედ ძალას არ ატანდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ-კი დაატანეს ძალა, მაგრამ ვერაფერი ჰქმნეს. ამბობენ, რომ ერთს დღეს მარადიდში ოთხას კაცს მოჰსრეს თავი გათათრების გულისთვისოა. მარადიდის დიდი ეკკლესიაც დააქციეს და მარადიდის ხიდიც დაწვეს, რომ ხალხი აჭარაში არ გაქცეულიყო. ეს ხიდი ჭოროხზედ იყო. ძველად მთელს ლივანაში ჭოროხზედ ხიდი მარადიდის გარდა სხვაგან არსად ყოფილა. მარადიდის ეკკლესიაც კაი დიდი ეკკლესია ყოფილა, შემდეგ დროებში ქრისტიანებს საქმე გასჭირვებიათ, მაგრამ არც ოსმალნი ყოფილან მოსვენებაში; ამათ უფრო გასძნელებიათ ხალხის გათათრების საქმე. ჭოროხის ნაპირებს ახლო მახლო მდებარე სოფლები ადვილად გაუთათრებიათ და რომლებიც მეტად შორს ყოფილა, იქ ვერაფერი მოუხერხებიათ. იქიდამ ხალხს დიდხანს უბრძოლია, მაგალითად ჭოროხის ნაპირს სოფლებს, ცოცხების მიყრუებულ ადგილებიდამ და სოფლებიდამ, რომლებიც მაღალს მთებზე სძევს, ამათ დიდ ხანს უბრძოლიათ ოსმალთ წინაღმდეგ და ქრისტიანობით დიდხანს შეუნახავთ თავი. ბოლოს ოსმალთ მოუგონიათ ასეთი ოსტატობა: ამ მხრის მოწინავე კაცები დაუბარებიათ და გამოუცხადებიათ, რომ ვინც აქ იმეცადინებს და ხალხს გაათათრებს, იმას ჩვენ აღიობას მივცემთ და თითო ოჯახის გათათრებაში თითო ოქროსაც ფულს მივცემთო. მოწინავე კაცებს ეს ძლიერ გახარებიათ, ამათ დაუწყვიათ შორს მაღალ სოფლებში სიარული და ხალხში მეცადინეობა, ლაპარაკი, რომ გათათრდით, თორემ ბოლოს საქმე წაგვიხდება, ოსმალნი მაინც გაგვათათრებენ და ძლიერ დაგვსჯიან კიდევაო, მეტი გზა არ გვაქვსო. ხალხი ისმენდა ამათს ლაპარაკს, ესენი მაშინვე მღვდლებს რეკავდნენ სოფლებიდგან და ამათ მაგიერ ხოჯებს იბარებდნენ. პირველ ხნებში აქეთ თურმე ხოჯები ეკკლესიებში ალოცებდნენ ხალხსა და ხალხი ამიტომ უფრო არ შინდებოდა თათრობის მიღებ-შეჩვევას. მოწინავე კაცებმა ამ საქმეებისაგან დიდი ფული იშოვნეს და ამ ხალხის ბატონობაც მათ ჩაჰბარდათ ოსმალებისაგან. ესენი რომ არ ყოფილიყვნენ და ამათ რომ არ ემეცადინათ აქ ხალხის გათათრებაზედ, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა, რომ ლივანაში თათრობა 100 წლის შემდეგ შემოსულიყო, რადგანაც ლივანის ზემოდ, ჭონეთს შუა ისეთი მივარდნილი და მიყრუებული მთებია და იქ ისეთ ადგილებშია სოფლები, რომ გათათრების შემდეგ იქ ოსმალებს

---

მკითხველო, „კვალის“ წერილებში ყოველ ფეხის გადადგმაზედ, ასე რომ „კვალი“, თუმცა სიბრძნისა-კი არა, მაგრამ ამგვარის მარგალიტებისა-კი სწორედ ზღვა არის.

გავარჩიოთ ამ მხრივ კიდევ „კვალის“ მეორე თანამშრომელი, ესეც „მესამე დასის“ მწერალი, ბ. ფ. მახარაძე. ამან დასწერა „კვალის“ №№ 20, 21, 22, 23-ში ერთი წერილი სათაურით «გაკვრით პასუხი». თვითონაც რომ არ აღიარებიოს თავი «მესამე დასის» მიმდევრად, მარტო ეს სათაურიც დაგვარწმუნებდა, რომ ავტორი უთუოდ „მესამე დასს“ ეკუთვნის. მკითხველი დამეთანხმება, რომ ამ სათაურში მეტის-მეტი თავმომწონეობა გამოსჭვირს: ავტორი ჩვენ პირდაპირის პასუხის ღირსად არა გვთვლის, მხოლოდ „გაკვრით“ გვიპასუხებს, აბა, როგორ დაიმცირებს ჩემამდის თავს! რომ ეს სათაური თავ-მომწონეობის ნიშანია, მტკიცდება შემდეგიდან. ავტორი ჯერ პირველად გამოდის სალიტერატურო ასპარეზზედ, და, თითქოს დიდი ხნის დამსახურებული და პატივცემული მწერალი იყოს, საყოველთაოდ აცხადებს და აუწყებს ქვეყანას: „რამოდენიმე ხანია, რაც ჩვენი აწინდელის საზოგადოების ვითარებათა შესწავლას შევუდექი. მე მსურს გამოვიკვლიო ჩვენი აწინდელი საზოგადოებრივის ცხოვრების უღლურება წარსულში და აწმყოში, დავასახელო მისი უმთავრესი მიზეზები. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა დიმექტიკური მატერიალიზმის განმარტება, სხვათა შორის, განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ამ სავალალო კითხვას, თუ რა გზას ადგას დღეს ჩვენი ქართველობა, მთელი ქართველი ერი, ნებსით თუ უნებლიეთ. ყველა ლალები თუ ნალები იქ ნახვენ თავიანთ პასუხს დაწვრილებით და გარკვევით.“ ავტორს ეჭვი აქვს, პოლიტიკური ეკონომია მას გარდა სხვასაც ვისმე შეესწავლოს და გულ-მოსულად ამბობს: „ბ. ბ. გ. წ.—ებს, ლალებს თუ ნა—ლებს რომ კითხოთ, იმათ პოლიტიკური ეკონომიაც-კი შეუსწავლიათ... მარქსის ტეორიის არსებობაც-კი შეუტყვიათ... მაგრამ კაი მათ, თუ სულ ამის წინააღმდეგი გამოდგეს! მოისმინეთ:“

ბუნდოვანებაში ხომ იგი ს. ჯიბლაძესაც არ ჩამოუვარდება. მაგალითი. პოლიტიკური ეკონომია... არის ნამდვილი მეცნიერება... ყოველ განსაზღვრულ ეპოქას აქვს თავისი განსაკუთრებითი ეკონომია, ასე რომ ერთი რომელიმე ეპოქის ეკონომია, სრულიად არ ეთანხმება მეორე ეპოქის ეკონომიას, მაგალითად, საშუალ საუკუნოების ეკონომია, როცა ბატონ ყმობა მეფობდა, სულ სხვაა, ვინემ ჩვენი დროის ბურჟუაზიული საზოგადოების პოლიტიკური ეკონომია, როცა შრომა განთავისუფლებულია პოლიტიკური მონობიდან. ასევე ითქმის მომავალის ეკონომიაზედაც, როცა შრომა განთავისუფლდება ეკონომიური მონობიდანაც. თქვენ-კი, ბ.ბ. გ. წ.—ბო, ლალებო და ნა—ლებო, უნდა უწყოდეთ, რომ ის პოლიტიკური ეკონომია, რომლის ცოდნას თქვენ იკვეხით და რომლის საშუალებითაც გსურთ დაიცვათ ნატურალისტური წარმოება, რაც შრომის პოლიტიკურ მონობას შეადგენს, პირდაპირი ნაყოფია ბურჟუაზიული წეს-წყობილებისა.“ ვინც ამას გაიგებს, ბარაქალა მის კაცობას:

თავს ხომ იქებენ და იქებენ, მაგრამ ერთმანეთსაც-კი გუნდრუკს უკმევენ ერთსა და იმავე გაზეთში. მაგ. ს. ჯიბლაძემ ხომ ყველა ჩვენი მწერლები „ლილიპუტებად“ დახატა ბ. ჟორდანიასთან შედარებით. ბ-ნ ფ. მახარაძეს-კი, თავისს მხრით, ბ. ს. ჯიბლაძე მოჰყავს ავტორიტეტად: „რასაკვირველია, გვასწავლის ფ. მახარაძე: ცხოვრება, როგორც ამბობს ს. ჯიბლაძე, (კურსივი ჩემია) ნა-ლებს-კი არა, თვით ნალების მშობლებსაც არ ეკითხებაო“. ერთი სიტყვით, „Кукушка хвалитъ пѣтуха за то, что хвалитъ онъ кукушку“.

არავინ იფიქროს-კი, რომ ეს ნამეტანი თავ-მომწონეობა ნამეტანის ცოდნით მოსდიოდეთ. პირიქით, არსად არ შეხვდებით ისეთს ახირებულს აზრებს (?), როგორც მათს პოლიტიკურ-ეკონომიურ წერილებში. აი, მართლა, თავისებური პოლიტიკური ეკონომია სწორედ იმათა აქვთ. მოვიყვანოთ ერთი მაგალითი მათი აზრების თავისებურობისა. ბ. ფ. მახარაძე გულწრფელად ფიქრობს, რომ ლეჩხუმში და სვანეთში კაპიტალიზმი არის. მაგრამ სჯობს თვით ავტორნი ვალაპარაკოთ:

„ერთად-ერთ საქართველოს კუთხეზედ არ ითქმოდა ეს (...რომ კაპიტალიზმი არისო) ამ უკანასკნელ დრომდის. მე ვამბობ ლეჩხუმს მსარეზედ და სვანეთზედ. მაგრამ, ვგონებ, არც ერთ საქართველოს სხვა კუთხეში კაპიტალიზმი არ შესულა ისე სწრაფად, როგორც ამ ნამდვილ ნატურალისტური წარმოების სამფლობელოში, ლეჩხუმში და სვანეთში. ჩვენ ვლაპარაკობთ სიერების ხე-ტყის ექსპლოატაციაზედ, ამ ევებერთელა წარმოებაზედ, რომელშიაც დაქსაქსულია მილიონამდე კაპიტალი. ხე-ტყის ექსპლოატაციის საქმე ჯერ სულ ახალი საქმეა, სამი თუ ოთხი წლისა, მაგრამ ჩვენს მოწინავე მდგებებს ყველაზედ უფრო ვურჩევთ ნახონ და გასინჯონ ეს საქმე და მაშინ დაინახვენ, თუ რანაირის სისწრაფით სრულდება ამ პატრიარქალურ ნატურალისტურის წარმოების სამფლობელოში დარღვევა და დაქცევა ძველის წესისა და ახალი წარმოების, ახალი წეს-წყობილების საფუძვლის ჩაყრა. ჩვენ ამ რამდენიმე ხნის წინად თვითონ ვიყავით მოწმე ამ დიდს შესანიშნავს მოძრაობისა“. ესეც ხომ კიდევ ახალი აღმოჩენაა: ბ. გ. წერეთელმა აღმოაჩინა „მესამე დასი“ და მით, როგორც ამ დასის მწერლები ერთხმად აღიარებენ, საფუძველი ჩაყარა ჩვენის მომავალის ბედნიერებისა; ბ-ნმა ფ. მახარაძემ კაპიტალიზმი აღმოაჩინა სვანეთში, დაუჯერებლობა არ შეიძლება, რადგან თავისის თვალით უნახავს; და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „მესამე დასის“ დანარჩენი მწერლებიც კიდევ რასმე აღმოაჩენენ, და ვინ იცის, ევებ მათს მოღვაწეობას ამ გვარ აღმოჩენათ გზაზედ საზღვარიც არ ჰქონდეს!

სამწუხაროდ ჩვენდა, „კვალის“ მესამე თანამშრომელი, ბ-ნი ნ. ჟორდანიაც ისეთს თვისებას იჩენს, როგორც ხსენებული მწერლები (იხ. „კვალის“ №№ 20, 21, 22, 23.) ავტორი ვრცელს პასუხს აძლევს ამ ნომრების ფურცლებზედ ბ-ნ ფხას, მაგრამ პასუხის მაგიერად მისი წერილი თავიდგან ბოლომდის ცალიერი ლანძღვაა. „ჩვენი წერილების დასაცველათაო, ბრძანებს ავტორი, დიდ შრომას არ გავწევო, მეტადრე ბ-ნ ფხას საპასუხოთო.“ მაგრამ საპასუხოდ თუი არ ღირს, ბ. ჟორდანია, დიდი-შრომის გაწევა, სალანძღავად-კი კარგი გგონიათ?! მაგრამ ეს კიდევ რა! ბ-ნი ნ. ჟორდანიის ლიტერატურული თავმომწონეობა ჰერაკლესის სვეტებამდის მიდის. აღიარებს რა რომ პიროვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიაში, იგი დაცინვით კითხულობს: „ვინ სთქვა, რომ მარქსი და ლალი ერთი არისო“! რატომ თავისი თავი არ შეადარა მარქსს? ამაზედ ერთად-ერთი პასუხია შესაძლებელი: იმიტომ, რომ თავისი კთავი, ალბად, მარქსის სწორად მიაჩნია!

აი ამ გვარი ახირებული ხალხი არიან „კვალის“ მწერლები!

ვ. წ.

—

ფეხიც აღარ შეუდგამთ დღევანდლამდის. შინაურებისაგან მომხდარა ჯაშუშობა და ლალატი, თორემ ოსმალნი აქ ადვილად ვერაფერს გააწყობდნენ და ვერც ხალხს გაათათრებდნენ მალე.

II

ლივანაში ერთხნობით ძლიერ გასძნელებიათ ხოჯა-მოლებს ხალხის გათათრება, გასძნელებიათ მით უფრო, რადგანაც დღეში ხუთჯერ ლოცვას ვერ შეუჩვევიათ ხალხი და გარდა ამისა ფეხის ბანას ხომ უფრო გაუჭირებია საქმე. ერთ დღეს ხალხს ხოჯასთვის უთქვამს:

— ხოჯა, ეს რაფერ იქნება, რომ დღეში ხუთჯერ ვილოცოთ და მასთანავე ზამთარში ფეხები ცივი წყლით ვიბანოთ.

— რა ვქნათ, ძმაო, ჩვენი სჯული ესეთი წმიდა არის, სუფთა, თქვენ რომ ქრისტიანები იყავით, მიტომაც არ გქონდათ ესენი და მურდლები იყავით.

— ეგ-კი, მაგრამ, მაინც გვიძნელდება, წაღების გახდა და სიცივეში დაბანვა.

— არა უშავს-რა, წაღებს ნუ გაიხდით, ის მაინც მოახერხეთ, რომ ხელები წყლით დაისველოთ და სველი ხელი წაღებზედ სამჯერ გარედამ წაისვათ, ვითომც წაღები გაგიხდიათ და დაგიბანიათ. მაჰმადი თქვენგან ამას არ იწყენს, რადგანაც თქვენ ჯერ ახალი თათრები ხართ.

ასეთის ოსტატობით შეაჩვიეს მოლა ხოჯებმა ახალი თათრები ფეხის ბანასა...

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება).

## რუსეთის ცხოვრება.

პეტერბურგის გაზეთების სიტყვით სამხედრო საექიმო მმართველობას საყოველთაოდ გამოუცხადებია, რომ ამიერიდან პროტექციით არავის ადგილს არ მისცემენ ამ უწყებაში. ბევრნიო, აცხადებს ხსენებული მმართველობა, აწუხებენ სხვა-და-სხვა წარჩინებულთ ადგილების შესახებ. იცოდენ ამ პირთ, რომ სამხედრო საექიმო მმართველობა ადგილსა და წარჩინებას აძლევს მხოლოდ მშრომელს და მცოდნე ექიმთ.

„ნოვოსტის“ სიტყვით, არსდება ბელგიელთა და რუსთა კაპიტალისტების ამხანაგობა 1,200,000 მანეთის თანხით. ამხანაგობას განუზრახავს შავის ქვის ექსპლოატაცია ეკატერინოსლავის გუბერნიაში.

—

ფინანსთა სამინისტროს მოხელე ბ. სლობოდჩიკოვი ივლისში რევიზიას მოახდენს სახელმწიფო პალატებისას. ბ. სლობოდჩიკოვი ჩვენშიაც ჩამოვა სარევიზიოდ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

„მოსკოვის უწყებების“ მე-162 ნომერში 15 ივნისიდგან დაბეჭდილია ვრცელი კორესპონდენცია ვარშავიდგან ამ სათაურით: „Изъ привислянской жизни“. საგნად კორესპონდენციას აი რა აქვს: ახალს გენერალ-გუბერნატორს ვარშავისას გრაფს შუვალოვს დაუვლია პოლონეთი შესატყობლად, თუ რა მდგომარეობაშია ქვეყანა, რომლის მართვა მიანდო მას ხელმწიფე იმპერატორმა და კორესპონდენტი გაზეთისა დაწვრილებით აღნიშნავს, თუ რა შთაბეჭდილებანი გამოიტანა გრაფმა ამ მოგზაურობიდგან. ჩვენთვის, ქართველებისათვის, ფრიად საინტერესოა და საგულისხმიერო ერთი გარემოება. გრაფს შუვალოვს შეუნიშნავს, რომ პოლონელს სახალხო სკოლებში მოწაფეები ბევრით უფრო კარგად კითხულობენ პოლონურად, ვიდრე რუსულად და ეს გარემოება მას არამც თუ არ უუცხოვებია, არამედ მოსალოდნელ და ბუნებრივ მოვლენად ჩაუთვლია. ხოლო აქ ყველაზედ საინტერესოა, თუ რას ჰფიქრობს ამ ფაქტის გამო კორესპონდენტი გაზეთისა, რომელსაც თავისს წინასწარმეტყველად, თავისს ღმერთად მიაჩნია კატკოვი, ის კატკოვი, რომელსაც უცხოტომის ხალხების გარუსება სწორედ შეშლილობის საგნად გარდაექცა პოლონეთის აჯანყების შემდეგ 1863 წელსა. წარმოიდგინეთ იგიც, ეს კორესპონდენტი ამ მოვლენას თავის მხრითაც კანონიერად, ნორმალურად სთვლის და ასე განმარტავს თავისს აზრსა: რომ ბავშვები კითხულობდნენ პოლონურად უფრო კარგა, ვიდრე რუსულად, ეს სრულიად ადვილი გასაგებია. (совершенно понятно) აქაურნი მკვიდრნი პოლონელები არიან. „это впечатлѣніе графа Шувалова доказываетъ, განაგრძობს გაზეთი, еще разъ всю неосновательность жалобъ поляковъ на то, будьто бы здѣшняя народная школа имѣетъ цѣлію лишить поляковъ ихъ національности и заставить позабыть ихъ языкъ“ *).

ამ სახით მართებლობას და თვით კატკოვის თაყვანის-მცემლებსაც-კი კანონიერად მიაჩნიათ, რათა პოლონური ენა წინ უძღოდეს რუსულს ენასა, შეადგენდეს მთავარს საგანსა და უფრო უკედ ისწავლებოდეს, ვიდრე სახელმწიფო ენა. განა ეს ფრიად საგულისხმიერო მოვლენა არ არის?

ჩვენში რაღასა ვხედავთ? მთავრობისაგან დადგენილნი გეგმები (учебные планы) სწორედ იმავე უფლებას ანიჭებენ ქართულს ენასა, აღიარებენ მას მთავარ საგნად მდაბალს სასწავლებლებში და უოქელ დღე აწესებენ ერთს ან ორს გაკვეთილს მისს სასწავლებლად. ხოლო ეს კანონიერი უფლება ქართულის ენისა ფაქტიკურად საქმით თითქმის სრულიად გაქარწყლებულია. დასავლეთის საქართველოში ექვსი გაკვეთილი ქართულის ენისა, გეგმით დაწესებული, მუნჯი მეთოდის ავტორმა ორ-სამ გაკვეთილზედ ჩამოიყვანა. და თუ წინად სახალხო სკოლაში ათავებდნენ დედა ენასაც და ბუნების კარსაც, ახლა პირველს წიგნსაც ველარ ასწრებენ ხეირიანად. მომავალში უფრო უკეთესს იმედს გვიქადის იგივე ავტორი. მან გამოსჩხრიკა იმისთანა მეთოდი რუსულის ენის სწავლებისა, თუ უთავბოლო აჭია-ბაჭიას მეთოდი დაერქმევა, რომელიც სრულიად უარჰყოფს ქართულის ენის დახმარებას რუსულის ენის შესასწავლად. ეს კიდევ ცოტაა, იგი ვაჟბატონი საუკეთესო მასწავლებლად სთვლის მას, ვინც ქართული სრულიად არ იცის და არ ძალუძს ქართული სიტყვა გააგონოს პატარა ქართველებს. ეს გზა ის გზა გახლავთ, რომელიც მოასწავებს მომავლისათვის არა მარტო ქართულის ენის გაქრობას სახალხო სკოლებიდგან, არამედ ქართველ მასწავლებლების გაძევებასაც. აღმოსავლეთის საქართველოში იმდენად არის შევიწროებული ქართული ენა, რომ ველარ სწავლობენ რიგიანს ქართულს წერა-კითხვას სამი-ოთხის წლის განმავლობაში... ამას ისიც დაუმატეთ, რომ წინად ჩვენში დირექტორად და ინსპექტორად ამწესებდნენ იმისთანა პირებს, რომელთაც ქართული ენა იცოდნენ და მოსწავლეების გამოცდა შეეძლოთ ქართულს ენაში. ახლა-კი ქუთაისის დირექციის წევრებიც და ტფილისისაც მოკლებულნი არიან ამ ცოდნასა, ასე რომ ქართული ენა ამ ჟამად სახალხო სკოლებში მოგაგონებს მოძულებულს გერს, რომელსაც სახლში არავინ ყურადღებას არ აქცევს და აბუჩად ჰყავთ აგდებული.

ამ სავალალო მდგომარეობაში ენა იმ ხალხისა, რომელიც ძალით-კი არ იქნა დაპყრობილი, ნება-ყოფლობით შეუერთდა რუსეთსა, ყოველი სამსახური გაუწია და უწევს სახელმწიფოსა და თავისი ერთგულებით ხელმწიფისადმი ბუნებრივს რუსებს თუ არა სჯობიან, უკან მაინც არ ჩამოურჩებიან. მთავარი ბურჯი ჩვენის ეროვნებისა, იმ ეროვნებისა, რომლის დასაცველად და ასაღორძინებლად მოხდა შეერთება რუსეთთან, იფუშება, ინგრევა, წინააღმდეგ ხელმწიფის ნებისა, კანონისა და ხალხის სურვილისა და სიკეთისა და ამ მავნე, დამღუპველის უკუღმართობის წინააღმდეგ არც ერთს დაწესებულებას აქამდის ხმა არ აუმაღლებია.

—

1 ივლისს გამოვიდა ახლად დაარსებულის გაზეთის „ჩორნომორსკი ვესტნიკის“ პირველი ნომერი. როგორც მოსალოდნელი იყო, აი რას გვპირდება მისი მეთაური წერილი:

„ჩვენ ზიზღით (?) ვუყურებთ რომელისამე ეროვნების დაჩაგვრას, არავითარი კავშირი არა გვაქვს არავითარ დასთან და ხელ-გაშლით ვეგებებით ყველას, ვისაც-კი მშვიდობიანი შრომა უყვარს და ცნობიერად მოღვაწეობს. ჩვენ ყოველთვის მხარს დავუჭერთ ამგვარ მოღვაწეებს და ვიბრძოლებთ იმ შავ, ბნელ ძალთა წინააღმდეგ, რომელთაც უნდათ საზოგადოებაში ერთმანეთის მტრობა და უკმაყოფილება დასთესონ და ცდილობენ სხვისი მიწა დაისაკუთრონ. ჩვენ ვესარჩლებით ყოველსავე, რაც-კი ჭკუა-გონებასა და პატიოსნებას არ ეწინააღმდეგება. ჩვენ რეტროგრადული დოკტრინების დამცველი, ვიწრო ნაციონალისტები არა ვართ და ვამბობთ, რომ ჩვენ ყველანი ერთგვარადა ვართ შვილნი დიდის რუსეთისა, ყველანი ერთნაირადვე უნდა ვზრუნავდეთ ჩვენის სამშობლოს სიდიდისა და სიკეთისათვის, ყველანი ერთად უნდა ვშრომობდეთ სახელმწიფოს, მამულის, საზოგადოების სასარგებლოდ. ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა ავამაღლოთ ამ ქვეყნის (კავკასიის) კულტურა, გამოვიწვიოთ სიცოცხლისადმი მისი დაფარული ძალა, შევაერთოთ მისი ჯანმრთელი ელემენტები, ავამაღლოთ ეს მშვენიერი კუთხე, რომლისთვისაც ჯერ კიდევ ხელი არ უხლია მცოდნე მწარმოებელს და რომელიც თუმცა უხვად დაუჯილდოებია ბუნებას, მაგრამ კაცს-კი სრულიად ვერ შეუმუშავებია, ვერ მოუხმარნია“.

მაგრამ ერთი ეს ვკითხოთ ახლად დაარსებულს გაზეთს, ვინ მიაჩნია მას ჩვენში იმ მავნებელ, შავ და ბნელ ძალათ, რომელსაც იგი უპირებს, როგორც ეტყობა, სასტიკს ბრძოლას? ან ვინ ისაკუთრებს სხვის(?) მიწას? არ შეიძლება, დაფარული გამოამჟღავნოს და პირ-და-პირ, თამამად დაგვისახელოს მამულისა და სახელმწიფოს მტერი, როგორც შეშვენის პატიოსანს ორგანოს? ჩვენის ფიქრით, ეს აუცილებლად საჭიროა ხსენებულის გაზეთისათვის, თორემ, ვინ იცის, ეგებ ასე დასწამონ, რომ ბნელი და ბუნდოვანი აზრებით ბნელსა და ქვენა აზრებს მალავსო, მტრად ბუნებური მშვიდობიანი მეურნეები მიაჩნია და ვიწრო ნაციონალისტობის უარ-მყოფელად ყველა ის, ვინც ამ მშვიდობიან მუშაკებს დაუშლის შავის ზღვის პირად მდებარე ხელ-უხლებელის მიწების შეძენასაო!

—

გაზ. „ნოვოე ვრემია“ სწერს, რომ ბ-ნ ბელომორის აზრით მეტოქის სისუსტისა და გაუმარჯვებლობის იმედი მხოლოდ სუსტს ხალხსა აქვს. ხოლო გარემოება მოითხოვს, რომ რუსეთი დღეს უფრო მძლავრი იყოსო.

„დღეიდგან, 10 ივნისიდგან, ბალტის ზღვა სამუდამოდ და სრულიად შეზღუდულ იქმნა, რომელზედაც თავისუფალი მსვლელობა ჩვენის ფლოტის გემებისათვის სხვა-და-სხვა საპოლიტიკო პირობებზეა დამოკიდებული, ხოლო ამ ზღვით სხვა სახელმწიფოთა გემების შემოსვლა გერმანიის ხელთ არის. აშკარაა, ამ გარემოებას რა შედეგი მოსდევს: ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს შექმნა სრულიად დამოუკიდებელის ფლოტისა წყნარს ოკეანეზედაო.

## თეატრის მატიანე.

„დონ-ჟუანი“ და „მადამ სან-ჟენ“.

ორივე ეს პიესა ქართულ ენაზედ თარგმნილია და ერთი „დონ-ჟუანი“ კიდევაც ნათამაშევი, ამისათვის მათის შინაარსის მოთხრობა მეტი იქნება და ჩვენ პირდაპირ არტისტების თამაშზედ ვილაპარაკოთ. თუმცა „დონ-ჟუანი“ მოლიერისაგან დაწერილია 200 წლის წინად, მაგრამ ახლაც სიამოვნებით მოისმენთ და გაფაციცებით ყურს დაუგდებთ ამ პიესის წარმოდგენას, თუ უმთავრესი როლის ამსრულებელი კარგი არტისტია. მ. პეტიპა დონ-ჟუანის როლს თამაშობდა. საკმარისი იყო მისი გრიმის დანახვა, მისი პირველი გამოსვლა სცენაზედ და მაყურებელს თითქმის ნათლად დაეხატებოდა რა ხასიათისა და რის მომქმედი კაცი დგას იმის წინ. ტანწვრილი ახალგაზდა, ლილის ფერი ლოყები, გამხდარი სახე, წვერი წაწკეტილი, პაწია გრეხია ულვაში, შეკუმშული წვრილი ტუჩები და ცივი — უდარდელი თვალებით გამოხედვა არტისტისა აშკარად გვიმტკიცებდა, რომ დონ-ჟუანი ურწმუნო, გზას ამცდარი, უგულო, ცრუ, ცუდის ვნებების ამყოლი კაცია და არტისტმა ეს კაცი არა-თუ მარტო გრიმით, არამედ მიხვრა-მოხვრით, ხმის კილოთიც ცოცხლად დაგვიხასიათა. უგულობამ, ურწმუნობამ დონ-ჟუანი იმდენად გაამამაცა, რომ ვისაც გნებავთ შეებმის, შეებრძოლება; სიკვდილს, მოჩვენებას, ცრუ-მორწმუნეობას სასაცილოდ იღებს — დასცინის თავისს ხუმარა მსახურს სგანარელს... მაგრამ ავტორის აზრით ამგვარს კაცს საზოგადოებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს და ამისათვის ხმარობს ისეთს ხერხს, იმგვარს საშუალებას, რომლის შემწეობით ეს ყოვლად უდარდელი კაცი შეშფოთდება, ცოტას ხნით მაინც ჩაფიქრდება; ის მომენტი, როდესაც სასაფლაოზედ კომანდორის, დონ-ჟუანისაგან მოკლულის, ქანდაკი თავს უქნევს და ეთანხმება გეწვევი ვახშმადო, არტისტმა ჩინებულად ითამაშა. ეს სწორედ ერთად ერთი ადგილია მთელს პიესაში, როდესაც დონ-ჟუანი გრძნობს, რომ არის რაღაც ძალა, უცნაური რამ, რომელზედაც იმას თავისს სიცოცხლეში არ უფიქრნია, რომლის მიწდომას და გაგებას ის ტყუილად ეცდება, და შეშფოთებული, უსიტყვოთ, თვალ გაშტერებული სიჩქარით მოშორდება ქანდაკს. სხვა უმთავრესი როლები სგანარელისა და შარლოტასი, სმირნოვმა და პეტიპას ქალმა ჩინებულად ითამაშეს.

—

„მადამ-სან-ჟენის“ წარმოდგენამ ურიცხვი ხალხი მიიზიდა თეატრის დარბაზში. კატრინ იუბშეს როლი ცოცხლად, ცქვიტად და პარისელ ქალის მიხვრა-მოხვრით წარმოადგინა ქ-ნმა პეტიპამ. ენერგიული, ცოტა მოუხეშელი ხმა არტისტი ქალისა კიდეც მოუხდა ამ როლს. პირველს ორ მოქმედებაში ცოტას ჩქარობდა, დანარჩენში სრულიად უნაკლულოდ თამაშობდა. ზოგიერთი მაყურებელნი გაიძახოდნენ ანტრაქტებში, რომ მარტინოვის ქალი უკეთ ასრულებდა ამ როლსაო; ვარწმუნებ ამ ზოგიერთთ, პირველი შთაბეჭდილება ისეთი ძლიერია ყოველთვის, რომ მეორეთ — მეორედ რაც გენიოსურად და ხელოვნურად უნდა ითამაშოს, მაინც სრულიად ვერ გააქარწყლებს ამ პირველს შთაბეჭდილებას.

თვითონ პეტიპამ ითამაშა ნაპოლეონის როლი. დინჯის მიხვრა-მოხვრით, ჭკვიანურის გამოხედვით, ბრძანებითი ხმის კილოთი და გაჯავრების დროს აღზნებული, მთრთოლვარე, ჩქარის ლაპარაკით არტისტი სრულიად დაუახლოვდა როლის ხასიათს. როდესაც მას ვხედავდით სცენაზედ, ვგრძნობდით, თუ რა ძლიერი, თავისებური, ჭკვიანი, ავი და თან სამართლიანი კაცი გვიდგას თვალ-წინ. გრიმი, ტანთ-საცმელი და ის ყველასაგან ცნობილი ნაპოლეონის ჩვეულებრივი პოზა, ცალი ხელი ჟილეტში შემალული და ცალი ხელიც უკან დადებული — ისე ნათლად დავინახეთ, თითქოს რომელიმე გამოჩენილის მხატვარის სურათების გამოფენაზედ დავესწარით.

საზოგადოება დიდის აღტაცებით მიეგება არტისტების ხელოვნურს თამაშს და ძნელი საფიქრებელიც არის, რომ ამათზედ უკეთ და უპირატესობით სხვებმა ითამაშონ ეს როლები. რაც შეეხება სხვა როლების ამსრულებელთ, ისინი უფრო სუსტნი იყვნენ, ვიდრე ფორკატის დასის მოთამაშენი. დეკორაციები და სცენის მოწყობილობა სრულიად შეუფერებელი იყო, რაიცა, რასაკვირველია, სრულის შთაბეჭდილების მიღებას ამცირებს.

კ. მესხი.

## წერილები რედაქციის მიმართ.

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო იმათ, ვინც ჩემ სასარგებლოდ წარმოდგენა გამართეს ფრონის ხეობაზედ, სახელდობრ თავ. სარდიონ სვიმონის ძეს ამირაჯიბსა და მათს სახლობას, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს წარმოდგენის გამართვაში და აგრეთვე ბ-ნს ანდ. ნადირაძესდა იმ ახალგაზდათ, რომელთაც არ დაა

---

*) თარგმანი.

იშურეს შრომა და წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს. მე უკვე მივიღე ამ წარმოდგენიდგან დარჩენილი ფული 25 მან.

ქართველი მოსწავლე კიევში
თომა ილიას ძე მჭედლიშვილი.

95 წ., 26 ივნისს.

—

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით გსთხოვო კორესპონდენტს გურიიდგან თქვენის პატივცემულ გაზეთისას №129 ივნისის 21-იდან, რომელშიაც იგი ახალს ამბებში სწერს: ნათუმში კუცურის მაღაზიის გაძარცვას, რომლის გამძარცველებად არიან დასახელებულნი სამნი პირნი ფირალად გავარდნილნი, ერთი მათგანი არის დასახელებული „გლახუნ ღლონტად.“ ეგ სახელი და გვარი მე მქვია და რომ უბრალოდ მე არ მომეცხოს სხვისი ჩირქი ჩემ ნაცნობებთან, როგორც ალებმიცემობის კაცს, კეთილ ინებოს იმ კორესპონდენტმა და გამოაცხადოს მამის სახელი ფირალათ გავარდნილის გლახუნა ღლონტისა და მისი ვინაობა.—მე თუმცა გურიიდან ვარ, მაგრამ—ვცხოვრობ ქ. დუშეთში, მაქვს იქ საკუთრება, სახლ-კარი და მაწა მამული, ღირებული არა ნაკლებ 40,000 მანეთისა, და ეხლაც მაქვს რამდენიმე საქმე აღებული იჯარით სამხედრო საქართველოს გზაზედ დუშეთის მაზრაში და სხ.

გლახუნ ანტონის ძე ღლონტი.
ქ. დუშეთი.
30 ივნისს 1895 წ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

2 ივლისი.

**ვენა.** სტამბოლიდგან იუწყებიან, რომ ივნისსა და ივლისში ბულგარიის საზღვრებზედ იმის მეტი ცვლილება არა მომხდარა-რა, რომ ზოგიერთს საზღვრის ადგილებში მეთვალყურეობა გააძლიერესო.

**სოფია.** სოფიის მუდმივის ჯარის ნაწილი არტილლერიითურთ საზღვრებზედ მდგომ ჯარის გასაძლიერებლად იქმნა გაგზავნილი. კიუსტენდელიდგან იუწყებიან, რომ მთავრობის მხრივ მაკედონელთა წინააღმდეგ ხმარებულმა საშუალებებმა დიდი მღელვარება გამოიწვიაო. ზოგიერთი აფიცრები სამსახურს დაეთხოვნენ. საზღვრების საქმე აღშფოთებულს მდგომარეობაშია. გაზეთ «მაკედონიის ხმას» ატყობინებენ კიუსტენდელიდგან, რომ მილოშანდოს ახლო ოსმალეთის ჯარსა და აჯანყებულთ შეტაკება მოუხდათო: მოკლულ იქმნა სამი კაცი, აჯანყებულნი შემდეგ მთებს შეეფარნენ. როგორც ხმა დადის, შეტაკება მომხდარა კიდევ შემდეგს ადგილებში აჯინის ოლქში: მონასტრისა, კოჩ.ლისა, ქიშაბის მახლობლად და სხვაგან.

3 ივლისი.

**პარიზი,** 2 ივლისი. „საპატიო ლეგიონის“ ორდენის საბჭოს დადგენილების გამო, რომელმაც სასამართლოს განაჩენით პატიოსნების შემლახველი ინჟინერი ეიფელი არ გამორიცხა სიიდგან, პურკერიმ კითხვა შეიტანა პარლამენტში. დეპუტატის პურკერის მიერ წარდგენილი აზრი იმის შესახებ, რომ ორდენის საბჭოს საყვედური განეცხადოს და მთავრობამ კანონ-პროექტი შეიტანოს საბჭოს ცვლილების შესახებაო, 438 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ ორისა მიღებულ იქმნა. სესსია დაიხურა.

**რომი,** 2 ივლისი. მართალია, თუ არა ხმა, რომ კაპუჩი დაპატიმრებულ იქმნა აბისინელთაგანაო, გარეშე საქმეთა მინისტრმა უპასუხა, რომ ამნაირად გავრცელებულს ხმას მუდამ სიფრთხილით უნდა ეპყრობოდეთ და მოთმინება იქონიოთ ნამდვილი შეიტყოთო. გარდა ამისა დასძინა მინისტრმა: „საერთაშორისო უფლებისა გამო აღშფოთებულის მებატონის მოსაგერებლად არავითარის საშუალების ხმარება არ არის საჭიროო. მენელიკი-კი იტალიის მებატონეა. იტალიამ აბისინიაში თავისი დროშა გაშალა.

**ბელგრადი,** 2 ივლისი. რადიკალნი და ლიბერალნი სახელმწიფო ვალის კონვერსიის წინააღმდეგსა ჰქადაგებენ, რადგანაც ამას სერბიის დამამცირებელ და უსარგებლოდ სთვლიან.

**ბელგრადი,** 2 ივლისი. მინისტრ-პრეზიდენტმა ნოვაკოვიჩმა წინანდელ დამოკიდებულებათა გამო მიტროპოლიტს მიხაელს ვიზიტი გაუკეთა. ეს ნახვა შერიგების მომასწავებელია.

სტამბოლში მყოფმა საბერძნეთის ელჩმა განუცხადა დიდს ვეზირს, რომ ბულგარიის ეპისკოპოსთა დანიშვნამ მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ათინაშიო. თითქმის ამავე დროს და ასეთივე განცხადება წარუდგინა ოსმალეთის მთავრობას სერბიის ელჩმა.

**სოფია,** 2 ივლისი. «ბალკან. სააგენტოს» ატყობინებენ კიუსტენდელიდგან, ორი ბულგარიის აფიცერი, რომელნიც მაკედონიაში წავიდნენ, ისევ ბულგარიაში დაბრუნდნენო. ოლქის უფროსის ბრძანებით ოცი შეიარაღებული კაცი შეიპყრეს, რომელთაც საზღვარ გარეთ გასვლა ჰქონდათ განზრახული. ეს პირნი შუა მხარეს იქმნენ გაგზავნილნი და პოლიციის მხედველობის ქვეშ იქმნებიან. სასამართლოში პასუხის-საგებლად იწვევენ იმ გაზეთებს, რომლებმაც მაკედონელ აჯანყებულთათვის გამამხნევებელი წერილები დაბეჭდეს.

**ლონდონი,** 2 ივლისი. ჯერ-ჯერობით არჩეულ იქმნენ: 91 უნიონისტი, 7 ლიბერალი და 4 პარნელი.

პეტერბურგის ბირჟა, 30 ივნისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | — „ | 7,40 |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 207¾ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | —„ | — „ | 100½ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | — „ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკსა . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99⅝ | — „ | — „ |

## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. სტროკინ შჩერბინინისა,** 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი,** 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

---

ახლად გამოვიდა და წიგნის მაღაზიებს დაურიგდა გასასყიდად.

**სახელმძღვანელო**
ნოტებისა და მისი კანონების შესწავლისათვის.
შედგენილი ფილიმონ ქორიძის მიერ.
**ფასი წიგნისა სამი აბაზი.**

---

ახლად გამოვიდა და წიგნის მაღაზიებს დაურიგდათ გასასყიდად

ფილოსოფოსი

**სოკრატი.**

თარგმანი მ. შარაძისა, გამოცემა შარაძისა და ამხანაგობის სტამბისა. წიგნი 64 გვერდია და ღირს ერთი შაური. ვინც ნარდად და დაკლებულის ფასით სყიდვას ისურვებს, უნდა მიჰმართოს მ. შარაძისა და ამხანოგობის სტამბას ნიკოლოზის ქუჩაზედ, № 21 „ივერიის“ რედაქციის ქვეშ.

---

**ცხოვრება**
შვიდთა ყრმათა ეფესელთა
თარგმნილი მ. შარაძის მიერ
გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის.
ფასი ერთი შაური
ისყიდება:
წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.
ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.
სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.
ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.
თელავში. ი. იმერლიშვილთან.

---

## ზეთი და ფხვნილი

თითბრის ავეჯეულობის საწმენდი, ამხანაგობის ფაბრიკისა

**რ. კელერისა და ამხ. მოსკოვში.**

ისყიდება ყველგან და ყველა ცნობილ ვაჭრებთან.

ამ ზეთითა და ფხვნილით გაწმენდილი ნივთები ისე ბჭყვრიალებენ, რომ ახლებზედ ბევრით უკეთესნი ხდებიან. ხოლო სყიდვის დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ამათ მაგიერად სხვა ფხვნილი და ზეთი არ იყიდოთ, რადგანაც ხმარება დაბალის ღირსების ზეთისა, ან კიდევ მზეზედ დაშლილ ვენურ კირისა (ე. ი. დაუფქველისა) არ არის ნამდვილი საშუალება, თუმცა ხშირადა ხმარობენ და ურჩევენ. ამნაირად დაშლილს კირს სრულიად აღარა აქვს მოქმედების ძალა. (2—19—1)

---




შეუმჩნეველია სახეზედ მხოლოდ

**პუდრი „ჰიგიენა“** მშვენიერის სუნისა.

ისყიდება ყველგან.

**„ჰიგიენის“ ამხანაგობისა** ს.-პეტერბურგში, ალექსანდრეს მოედანი, 9.
მოსკოვი, ვარშავა.

---

იბეჭდება და მალე გამოვა

## პ. ს. მესხის
## დრამატიული ნაწარმოები

სამ წიგნად.

წიგნი პირველი:
1) **თამარ-ბატონიშვილი,** ხუთ-მოქმედებიანი დრამა.
2) **ბაგრატ მე IV, იმერეთის მეფე,** დრამა 4 მოქმედებად.
3) **ქარაფშუტა,** სამ-მოქმედებიანი კომედია.

მეორე წიგნი:
1) **რუსთაველი,** ოთხ-მოქმედებიანი პიესა.
2) **სამშობლოს სადიდებლად,** ტრაგედია ხუთ-მოქმედებად.
3) **შეშლილია,** ორ-მოქმედებიანი პიესა, თარგმანი.

მესამე წიგნი:
1) **ირაკლი მეორე,** ხუთ-მოქმედებიანი დრამა.
2) **ჭირვეული ცოლის მორჯულება,** კომედია შექსპირისა, მოხერხებული ქართულ სცენისათვის.
3) Madame Sans-Gêne, (მოურიდებელი ქალბატონი) თარგმანი.

ვინც **დაბეჭდვამდის,** ახლავე, გამოიწერს, სამივე წიგნი დაეთმობა 2 მან. დაბეჭდვის შემდეგ 3 მან. ვინც 20 **ეგზემპლიარს მეტს** გამოიწერს, თითო ეგზემპლიარი (სამი წიგნი) დაეთმობა 1 მ. 50 კ. გამოსაწერად მიჰმართონ „ივერიის“ რედაქციაში, პ. ს. მესხს.

---




Невскій пр., № 13,

დაზღვეულნი პირნი დაზღვევის პირველის წლიდგანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება ნაჩვენები.

ამასთანვე იმათ მიენიჭებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინიცობაა დაუძლურდნენ და მუშაობა ვეღარ შესძლეს.

უმთავრესნი წარმომადგენელნისაზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, № 6.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(40—11)